№ 52

ხუთშაბათი,

29 ოქტომბერი

1909 წ.

# მომავალი

№ 52

ხუთშაბათი,

29 ოქტომბერი

1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მაზე შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

**Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Циуладзе.**

წარმოდგენა 11. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 11.

**ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა ჰეერმანისისა

## იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქ. თარ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გედევანოვი, გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: «ქოჩრიანი ტოროლა».

მორიგი რეჟისორი **ქ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტ. ეიხენვალდის „**მხიარული ქვრივი**“ მუს. გამგ. დღეს მეორეჯერ ფ. ლეგარის დადგმა ანტ. ეიხენვალდისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ელაგინა, ზასლავსკაია, როსტოვსკაია, ფერრარი; ბ-ნნი ბორისენკო, ბარსოვი, გუკასოვა, დემიანენკო, ევლახოვი, კუზმინი, ობრუბოვი, პევცოვი, ტირაციანი. დასაწყისი საღ. 8 საათზე; ფასები ჩვეულებრივია. ხვალ თფილისის ბებია-ქალთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლათ „**ჩაროდეიკა**“ კვირას დაკლებულ ფასებში დილის წარმოდგენა „**პიკოვაია დამა**“. მზადდება წარმოსადგენათ დჟიაკომო პუჩჩინის M-me „**ბატტერფლეი**“.

ალექსანდრე ივანეს ძე კუჭუხიძე მშობლებით და ძმებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 1-ს ნოემბრის დღითი კვირას ნაშვადღევის ორ საათზედ, სოფელ ნაესაკოვში (სამს ვერსტზე სადგურ აბაშიდან) დანიშნულია ძეგლის კურთხევა, წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვალებულ დაუვიწყარ მეუღლის

**მარიამ გიორგი ფაცაციას ასული კუჭუხიძისა.**

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯევი ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**პირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—25)

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—52)

## სად. სუმბათოვოში

**ილ. ალ. საბახტარაშვილის** სახერხავმა ქარხანამ დაწვის გამო დროებით შესწყვიტა შენაკვეთის (ზაკაზების) შესრულება. თვით საბახტარაშვილი განაგრძობს ზაკაზების მიღებას, როგორც წარმომადგენელი ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნისა მათი

**იმპ. უდ. დიდი მთავრის**

## მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

ძველ ზაკაზებსაც შეძლებისა და გვარათ დააკმაყოფილებს იმავე ბორჯომის ქარხნისაგან, ფასები იგივე დარჩება. თვით სუმბათოვოს ქარხანა ადრე იქნება აღდგენილი. პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე. ადრესი: ст. Сумбатово, Ил. Ал. Сабахтарашвили.

(3—3) მმართველი **ი. ა. ხოშტარია.**

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—5)

## გამგეობა

**გორა-ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა,**

რომელმაც განაახლა თავისი მოქმედება, აცხადებს, რომ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების შემდეგ, ფულის შემომტანთ, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ თავიანთი წიგნები, შეუძლიანთ განაცხადონ ამის შესახებ გამგეობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამგეობა არავითარ განცხადებას არ მიიღებს.

გამგეობის წევრები: ა. ღოღობერიძე. კოსტა ცაგარეიშვილი და კოსტა [illegible]ძე. (7—3)

**გავათავე** გიმნაზია და საბუჰგალტერო კურსები, მაქვს 5 წლის საკანტორო პრაქტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. შემიძლია დამწერ მაშინაზე მუშაობა.

ოსიპოვის ტუპიკი, სახ. № 16, ბინა 1 მე-9 ნაწილში. 0—4

## ბათუმში

**გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

## გიორგი მახარაძესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.** (10—8)

## იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—19

**1909** წლ. „ნაკადული“-ს

## პრემია

„**რას გვიამბობს ოთახი**“ ავქარიუსით დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში დარიგდება; ვინც სრულად არ წარმოადგენს ფულს, პრემიას არ მიიღებს. 3—1

## ძმ. ზუბალაშვილების

სახლში 30 ოქტომბერს დანიშნული წარმოდგენა „ცხოვრების გმირი“ და „ექიმთან“ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღარ წავა.

გაყიდულ ბილეთების ფასებს მიიღებენ.

გამგე **ა. ყორანაშვილი.**

## ვაჭარ-მრეწველთა ოპოზიცია.

დასასრული

რეაქციამ ვერ მისცა მრეწველებს ის, რაც მათთვის ასე საჭირო იყო და არის—ბაზარი და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიაც ისევ იწყებს ოპოზიციონურ ჰანგებზე მღერას. დაწყებული 1907 წლიდან ეს ოპოზიციონური სული თანდათან იზრდება ხსენებულ კლასში. 1907 წელს მაგ., მსხვილი კაპიტალის ნაციონალურმა ორგანიზაციამ ე. წ. სიეზდების საბჭომ, რომელსაც 50 მეტი გავლენიანი ორგანიზაცია ემხრობა, მსჯელობა იქონია მთავრობის მიერ დუმაში შეტანილ კანონ-პროექტზე სამრეწველო გადასახადის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ კანონის მიღება შესაწყნარებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ ამავე დროს მრეწველობას ეკონომიური ძლიერების ახალი წყარო ეძლეოდეს, მაგალითად, გლეხ-კაცობას რომ გადასახადი უმცირდებოდესო. მაშინ რაც ახალი გადასახადით მრეწველობას დააკლდებოდა იგი შეემატებოდა მას ახალი მომხმარებელის გაჩენითო. ამასთან საბჭო მთავრობას უთითებს იმ გარემოებაზე, რომ „შემოსავალზე დადებული გადასახადის კანონ-პროექტი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს დაუმუშავებელ (**незаработанн.**) შემოსავალზე გადასახადის გაწესების საჭიროებასა და სამართლიანობაზე, ხოლო ასეთი გადასახადი გაცილებით მეტს მისცემდა სახელმწიფოს და მიზნათაც უფრო შეთანხმებული იქნებოდა, ვინემ განადგურებული მრეწველობის ხელახალი დაბეგვრაო“. ეგევე საკითხი იმავე წელს გაირჩა სამხრეთის სამთო მრეწველთა სიეზდზე, რომელმაც დაადგინა: სიეზდი აღიარებს, რომ თანახმათ ოფიციალური ცნობებისა, ჩვენი გადასახადების სისტემა მოითხოვს ძირითად რეფორმებს, ვინაიდან მის მიერ დამყარებული გადასახადების სიმძიმე თანასწორათ არ არის განაწილებული გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიათა შორის—იგი უპირატესობას ანიჭებს მსხვილ მემამულეებს“. 1908 წელს მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა სიეზდი ისევ აყენებს კითხვას ბაზრის შესახებ და მას უკავშირებს პოლიტიკურ რეფორმებს. ეს აზრი აგრეთვე ძლიერ მკაფიოთ გამოსთქვა მოსკოვის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარემ — კრესტოვნიკოვმა მინისტრ შიპოვის საპასუხო სიტყვაში. მარტო ამით არ თავდება მრეწველების ახმაურება. ისინი უფრო შორს მიდიან და ეხებიან ისეთ საკითხს, როგორიც არის ადგილობრივი საერობო თვითმართველობის რეფორმა. მათ სურთ წინააღმდეგ მემამულეებისა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში გამაგრება. ამიტომ მოითხოვს მთავრობის კანონ-პროექტი ამ საკითხის შესახებ შესწორებულ იქნას—გაფართოვდეს საარჩევნო უფლება და სხვ. სამხრეთის სამთო მრეწველთა სიეზდი აცხადებს, რომ ერობა მემამულეების პრივილეგიაა და ამას ბოლო უნდა მოეღოსო. ამასვე იმეორებს კაპიტალისტების სხვა ორგანიზაციები და ბოლოს მათ კვერს უკრავს სიეზდების საბჭო. ამ რეზოლიუციებს და დადგენილებებს გვერდს უმაგრებს მრეწველების პროფესიონალური პრესა. „მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენლებმა უნდა აღიმაღლონ პროტესტის ხმა მიწათმფლობელ თავად-აზნაურულ ელემენტების წოდებრივი ოპეკის წინააღმდეგ, რომლებმაც ამ უკანასკნელ დროს საერობო დაწესებულება გადააქციეს რეაქციის სიმაგრეთ“—გაიძახის გაზეთი „**Неф. Дѣло**“. „საერობო რეფორმა ვერასოდეს ვერ ეღირსება თავად-აზნაურობისგან სანქციას. იგი შეიძლება გატარდეს ცხოვრებაში მხოლოდ მისი სურვილის წინააღმდეგ სხვა საზოგადოებრივი ელემენტების მიერო“—დასძენს ჟურნალი „**Промышл. и Торг.**“

მრეწველებმა ენერგიულათ მოითხოვეს მთავრობისაგან მათაც მისცემოდა ხმა ე. წ. „ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოში“, რომელიც მთავრობამ შეადგინა მემამულეებისგან, მარა მათ ცივი უარი მიიღეს. პირიქით, ერთ-ერთ კრებაზე სტოლიპინმა პირდაპირ განაცხადა: „მთავრობას განზრახვა აქვს გატარებულ იქნას ისეთი გეგმა, რომელიც დაიცავს ერობაში გავლენას და მნიშვნელობას ყველაზე უფრო კულტურულ და საერობო მოღვაწეობაში გამოცდილ ელემენტებისა—სახელდობრ მემამულეთა კლასისაო“.

დღეს უკვე მრეწველები უკმაყოფილოა არა მარტო მთავრობის მოქმედებით, ის უკმაყოფილოა აგრეთვე მე-3 დუმის მოღვაწეობითაც. ჟურნალ «**Пром. и Тор.**» სიტყვით მას არაფერი არ გაუკეთებია მრეწველებისა და ვაჭრობის ფეხზე წამოსაყენებლათ და ამას ვაჭარ-მრეწველების წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ იქ (დუმაში) მათი ინტერესების დამცველები ცოტანი არიან, მათი სიტყვით, რაღაც 7 პროცენტი ყველა დეპუტატების. საინტერესო აქ ის არის, რომ მრეწველები უკმაყოფილოა და არაფერს გამოელიან სწორეთ იმ დაწესებულებიდან, რომელიც მთავრობამ შექმნა მემამულეთა და კაპიტალისტების ინტერესების შესათანხმებლათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ორი ღმერთის სამსახური შეუძლებელია. შეუძლებელია მოწინააღმდეგე კლასთა ინტერესების მორიგება. მსხვილი მიწათმფლობელობის და კაპიტალის ინტერესები სხვადასხვაა და იქ, სადაც მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება პირველის ხელშია არ შეიძლება უკანასკნელის ინტერესები არ დაიჩაგროს. გაერთიანებული თავად-აზნაურობა—ეს მთავრობის გზის მაჩვენებელი „მოკაშკაშე ვარსკვლავი“ მტრული თვალით უცქერის არა მარტო ხალხს და მის მოძრაობას, იგი წინ ეღობება აგრეთვე ვაჭარ-მრეწველთა სურვილებს და მოთხოვნილებებს. მას უკან მიაქვს ყველაფერი, რაც ბიუროკრატიამ დაუთმო ხალხს 1905 წელს. იგი არ გაჩერდება არაფრის წინაშე და ბოლომდის მიიყვანს ახალის ლიკვიდაციის და ძველის აღდგენის საქმეს. მისი პოლიტიკა, როგორც შინაური, ისე გარეშე, აშკარათ მიმართულია ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების წინააღმდეგ. ამ გარემოებას ეხლა თვით ვაჭარ-მრეწველთა კლასიც გრძნობს, თუმცა ჯერ კიდევ სუსტათ, მარა მომავალი მას კიდევ უფრო მწვავეთ დაუყენებს იმ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს, რომლის ასე თუ ისე გადაჭრაზე დამოკიდებულია კაპიტალის ზრდა-განვითარება. ვაჭარ-მრეწველთა სიეზდების და სხვა მისი ორგანიზაციების დადგენილებები, ამას წინათ მომხდარი საქალაქო არჩევნები სხვადასხვა ადგილას, რომელმაც ბევრ ადგილას შედარებით გააძლიერა ოპოზიციონური ელემენტები ადგილობრივ დაწესებულებებში და ბოლოს მოსკოვის და ოდესის დამატებითი არჩევნები სახელ. სათათბიროში—აი ის უმთავრესი მოვლენები, რომლებიც ნათელს ყოფენ სამრეწველო ლიბერალიზმის გამოცოცხლებას. რეაქციას ნელნელა შორდება ის ელემენტები, რომლებმაც 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მუშათა მოძრაობით დაშინებულებმა მხარი გაუმაგრეს კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას. როგორც ზევით ვამტკიცებდით ჩვენ, ვაჭარ-მრეწველთა ოპოზიციისაკენ გადახრა გამოწვეულია არა მათი იდეალური გატაცებით, არამედ ჯიბის ინტერესებით. გამდიდრების სურვილი—აი რა ამოძრავებს მათ და ვინც ამ სურვილს გადაეღობება, ის მის წინააღმდეგ მიმართავს თავის ძალას და გავლენას. მრეწველთა კლას[!] შეეძლო მთავრობასთან მორიგებით ყოფილიყო მანამ, სანამ იგი სუსტი იყო და მისთვის საკმარისი იყო მთავრობის „ზაკაზები“ და მისი ეკონომიური ღონისძიებანი, მარა დღეს, როგორც ვთქვით, რუსეთის სამრეწველო კაპიტალი დამოუკიდებელ არსებობას იწყებს, რაც აუცილებელს

ხდის მის ოპოზიციაში ჩადგომას. ამ გარემოებას განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის და კერძოთ მუშათა კლასისთვის, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია მისი მსვლელობით და შედეგებით, დიდი მნიშვნელობა აქვს. ნელ-ნელა, რეაქციის საერთო დღესასწაულის დროს, სამხედრო და სხვა განსაკუთრებულ წესების ფარგლებში, მზადდება პირობები რეაქციის ხელ-ახალი განმარტოებისათვის. რასაკვირველია, მუშათა კლასი დიდ იმედებს ვერ დაამყარებს ბურჟუაზიულ ლიბერალიზმზე. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ძალა მათში არ არის და მასთან იგი არ წარმოადგენს ბოლომდე გამყოლ საიმედო მოკავშირეს, მარა მიუხედავათ ამ გარემოებისა, მუშათა კლასმა და მისმა შეგნებულმა ნაწილმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამ მოვლენას. რაც უნდა მცირე იყოს ხსენებული კლასის ოპოზიცია, იგი მაინც რეაქციის დაუძლურებას და განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას მოასწავებს. ამიტომ თავის დროზე მან უნდა გამოიყენოს ეს გარემოება

**ნ. ხ.**

## ბ. არჩილ ჯორჯაძის წერილის გამო.

(დაგვიანებული პასუხი).

იქნებ მკითხველს ახსოვდეს ის წერილი, რომელიც ამას წინეთ დასტამბული იყო გაზ. „ჩანგის“ მე-32 №-ში. წერილის სათაური იყო: „ჩვენი საერობო პროგრამა“. ყველასათვის ცხადია, რომ მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია მთელი საერობო პროგრამის ძირითადი დასაბუთება და საბოლოო განმარტება. წერილის მიზანი იყო—მკითხველებისთვის მოკლეთ აეხსნა ჩვენი საერობო პროგრამის სქემა, მისი ჩონჩხი. მე მშვენივრათ ვიცოდი, რომ ეს საკმარისი არაა, რომ საჭიროა ამ სქემაში ჩაიდოს სათანადო შინაარსი, ამ ჩონჩხს შეესხას ხორცი; მე კარგათ ვხედავდი, რომ საერობო ერთეულების ზოგადი აწერილობა არ კმარა, რომ საჭიროა დაწვრილებით აღგვენიშნა, რა და რა კონკრეტიული ფუნქციები შედის ერობის ამა თუ იმ ერთეულის კომპეტენციაში; იმასაც ვხედავდი მე, რომ საერობო საკითხთან გადაბმულია მრავალი დიდი საკითხები, რომ ამ საკითხებსაც უნდა გაეწიოს ჯეროვანი ანგარიში. მაგრამ... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, არც დრო და არც გარემოება ხელს არ მიმართავს ამ ჟამათ მკითხველი საზოგადოების ეს კანონიერი მოლოდინი ავასრულო. შეიძლება, ჩემს წერილში ბევრი რამ ისე არ არის გამოთქმული, როგორც საჭირო იყო, შეიძლება, ბევრი რამ დაუსაბუთებელი იყოს, შეიძლება, ავტორის ბრალით, მკითხველმა იქიდან ის დასკვნა არ გამოიყვანოს, როგორიც ავტორს ქონდა სახეში, მაგრამ თუ შესაძლებელი იყო ჩემი წერილის დედა-აზრის ისე გაგება, როგორც ის გაუგია ბ. არჩილ ჯორჯაძეს, ამას კი ვერ წარმოვიდგენდი.

ბ. არჩილ ჯორჯაძე ჩემ წერილში ხედავს... ავტონომიის აღიარებას: „დღეს ბ. ლეო პოლიტიკურ ავტონომიას აღიარებსო“, გვარწმუნებს იგი („დროება“ № 197). ამის გამო ბ. არჩილ ჯორჯაძეს ისე ასძგერებია გული სიხარულით, რომ, როგორც თითონ გვიამბობს, „ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ცოტას გაწყდა პირჯვარი არ გადავიწერეო“; მას უკვე ესიზმრება თვალწარმტაცი მომავალი, როდესაც სოც.-დემ. აღიარებს ტერიტორიალურ-ნაციონალურ ავტონომიას და „ამ ნიადაგზე“ მოხდება „მათი შეთანხმება ს.-ფედერალისტებთან და სხვა ავტონომისტებთან“.

მერე საიდან გამოიყვანა ბ. ჯორჯაძემ ამნაირი დასკვნა? რაში დაინახა მან ჩვენ მიერ ავტონომიის აღიარება? რაზეა აგებული მისი საოცნებო სასახლე? აი, თურმე, რა სიტყვებმა აუშალა მას პატრიოტული სალღრღელი: „ჩანგის“ მე-32 №-ში მე სხვათა შორის ვსწერდი: „ჩვენი საერობო პროგრამის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერობას არა აქვს განსაზღვრული სფერა. არ არსებობს ერის ცხოვრებაში არც ერთი მხარე, რომელსაც არ უნდა სწვდებოდეს ერობის კომპეტენცია. ერობა ერის თვითმართველობაა, და ერის ცხოვრების ყველა მხარეებს თვით ერი, მისი ორგანოები—საერობო ერთეულები უნდა განაგებდენ. საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ—კულტურული საკითხები, არამედ ყველა პოლიტიკური საკითხებიც. საერობო ერთეულების უფლება სამეურნეო საკითხებს გარდა, უნდა სწვდებოდეს კანონმდებლობას, მთელ ადმინისტრაციას, სასამართლოს... საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს საკანონმდებლო ძალაც“...

მეტია იმის მტკიცება, რომ ამ სიტყვებში ვერც ერთი ლოღიკის მცოდნე ადამიანი პოლიტიკურ ავტონომიის აღიარებას ვერ დაინახავს. ჩვენ მარტო კავკასიისთვის კი არ გვსურს ზემოთ აღწერილი ტიპის ერობა, ჩვენ გვინდა მთელ რუსეთის საერობო ერთეულებს გადაეცეს „არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური საკითხებიც“; მაშასადამე, ბ. ჯორჯაძის ლოღიკით მარტო კავკასიისთვის კი არ გვდომია „ავტონომია“, არამედ ტვერის და რიაზანის გუბერნიებისთვისაც! ჭეშმარიტათ, ულტრა-ავტონომისტები გავმხდარვართ!

ჩემს წერილში ვამბობდი, რომ არის ერობის ორი ტიპი: ერთი ერობას უთმობს მხოლოდ ეკონომიურ-კულტურულ სფერას; მეორე ერობის კომპეტენციას ავრცელებს პოლიტიკაზედაც. პირველი ტიპის ერობა გავრცელებულია გერმანიაში და საფრანგეთში, მეორე ტიპის—ინგლისში და შვეიცარიაში. დიახ, ინგლისის საერობო ერთეულების კომპეტენციაში „პოლიტიკაც“ შედის! დიახ, ინგლისის ერობა სახელმწიფო ფუნქციებსაც ასრულებს და რადგანაც ბ. ჯორჯაძე ამის წინააღმდეგ ვერ გაბედავს კამათს, მაშასადამე, უნდა დაასკვნას მან, ინგლისის ყოველი საერობო ერთეულიც ავტონომიას წარმოადგენს!

რაღა გვეთქმის ამის შემდეგ იმის მეტი, რომ ბ. ჯორჯაძეს საუცხოვოთ ქონია შეთვისებული, რას ქვიან ავტონომია, რაა ერობა, რაა ცენტრალისტობა, რაა დეცენტრალისტობა, როგორ საერობო პროგრამას უნდა აღიარებდეს სოც.-დემოკ.! ყველა ამ არევ-დარევაზე ჩვენ არც კი ვუპასუხებდით, მაგრამ დახეთ ამ ავლა-დიდების პატრონი როგორ ზნეობრივ ნოტაციებს გვიკითხავს: „თუ ყოველივე ეს დაიწერა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიშანში „დროება“ ამოიღეთ, რომელიც დღეს მხარს უჭერს დემოკრატიულ ერობის შემოღებას, **სირცხვილია**, რადგან მოპირდაპირეს იმგვარ პრინციპებით უნდა ეომო, რომელიც გწამს... ხოლო თუ მართლა გამოიცვალეთ აზრი და დღეს გამოდიხართ ავტონომისტად, ამ შემთხვევაში დაასაბუთეთ მაინც თქვენი აზრი და რწმენა, რომ **„შანტაჟისტობად“** არავინ ჩამოგართვათ ამგვარი მეტამორფოზა“. (კურსივი ჩვენია).

ყველა ამას სწერს ის, რომელმაც მთელი თავისი სამწერლო ასპარეზი გაიარა რწმენათა და პროგრამათა შუა ხეტიალში; რომელმაც თავისი ქადაგება იმით დაიწყო, რომ ქართველებისთვის აუცილებელი საჭიროა ნაციონალური კაპიტალი, „ფულიანი კაცები“, რომ ამისთვის საჭიროა ქართველ მუშებმა თავიანთი „კერძო“ ინტერესი დათმოს „საზოგადო“ ინტერესისთვის და ქართველ კაპიტალს იაფ ფასათ ემსახურონო; ამის შემდეგ იგი გადაიქცა ისეთ მაქსიმალისტათ, რომ სოც.-დ. „მინიმალისტობა“ გულს უმღვრევდა; და დღეს კი ისევ დაუბრუნდა ძველ კერას ძველებურ ღმერთებს ევედრება, დღეს გვიქადაგებს, „მიწის შვილნი ვართ, მიწას გაუწიოთ ანგარიშიო“, დღეს ყველგან „მაქსიმალისტობა“ ელანდება და ყოველ დემოკრატიულ პლატფორმის წაკითხვაზე „პირჯვარს იწერს“! და აი სწორედ ეს „მტკიცე რწმენის“ პატრონი ბედავს პოლიტიკურ შანტაჟისტობაზე ლაპარაკს და არც კი წითლდება.

რაკი პოლიტიკურ „შანტაჟისტობაზე“ ჩამოაგდო ლაპარაკი ბ. ჯორჯაძემ, მინდა მეც ვაჩვენო მას რამდენიმე ნიმუში ამ დარგიდან.

ჩემს წერილიდან ამოწერილ ზემოთ მოყვანილი ციტატა ასე თავდება: «საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს საკანონმდებლო ძალაც“. ამ ფრაზას ყველა ისე გაიგებს, რომ საერობო წარმომადგენლობითი დაწესებულება ნამდვილ კანონებს უნდა სცემდესო; მაგრამ რომ მე ეგ არ მქონია სახეში, სჩანს იქიდან, რომ წერილში რამდენჯერმეა განმეორებული, რომ ეს საკანონმდებლო კომპეტენცია სახელმწიფოს საერთო კანონების ფარგალში უნდა იყოს მოქცეულიო. ვერ გაიგო ეს ბ. ჯორჯაძემ?

ბ. ჯორჯაძე ჩემ წერილის დედა-აზრს ასე გადმოგვცემს: «კანონმდებლობაც გვინდაო, სამოქალაქო და სისხლის სამართალიცო“, მაშასადამე, ერობას ეძლევა უფლება თავისი სამოქალაქო და სისხლის სამართალი გამოსცეს? და ეს აზრი ბ. ჯორჯაძემ ჩვენს წერილში ამოიკითხა? საინტერესო იქნება გვიჩვენოს როგორ სიტყვებით იყო ეს აზრი გამოთქმული! და თუ არავითარ ამის მსგავს აზრს ვერ ამოიკითხავთ ჩემს წერილში? მაშინ? რა ვუწოდოთ მაშინ ბ. არჩ. ჯორჯაძის საპოლემიკო ხერხს?

**დეო.**

პეტერბურგი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი.

### სპარსეთი.

**რახიმ-ხანი თეირანზე მიდის.**

**თავრიზი.** თავრიზის ვაჭრები და რუსის ქვეშევრდომნი სიხარულით ეგებებიან რუსის ჯარის მოსვლას არდებილში. რეშიდ-ულ-მულკიდან, რომელიც რახიმ-ხანთან მოსალაპარაკებლათ იყო გაგზავნილი, ცნობა მოვიდა, რომ რახიმ-ხანი შახსევანებით თეირანზე გალაშქრებას აპირებს კონსტიტუციის აღმოსაფხვრელათო.

**ჯარის მისვლა არდებილში.**

**არდებილი.** 25 ოქტომბერს მოვიდა უმანის კაზაკთა პოლკის ასეული.

### ოსმალეთი.

**რაკკონიჯიში შეხვედრის გამო.**

**სტამბოლი.** რადგან ხმები გავრცელდა, რომ რაკკონიჯიში შეხვედრის დროს მიღებულ იქნა ზოგიერთი ოსმალეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებიო, გაზეთი „ტანინი“, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის, მთავრობის ჯგუფის უმთავრესი ორგანო „ერთობა და პროგრესი“ უარყოფს ამ ხმებს და გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ, რომ წინააღმდეგ, ამ შეხვედრას ოსმალეთისთვის ფრიად სასარგებლო შედეგი მოჰყვა, რადგან ოსმალეთისთვის სასარგებლოა ამ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება ბალკანეთზე სტატუს-კვოს მხარის დაჭერის შესახებ.

### საზღვარ-გარეთ.

**ლორდთა პალატა.**

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო საფინანსო ბილლი.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ 157 ხმით წინააღმდეგ 40 ხმისა უარყო მთავრობის წინადადება არჩევნების სისტემის რეფორმის, რომლითაც წესდება ლონდონისთვის ერთ დღიანი არჩევანი, უქმდება მრავლობით ვოტუმი და ნება ეძლევა ამრჩევლებს გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი და საარჩევნო უფლება არ დაკარგოს.

**ლონდონი.** ლორდ სტენგოპის შეკითხვაზე რუს ფინანსისტების წინადადების შესახებ—მიიღონ მონაწილეობა იანცზიციანის მაღაროებში რკინის გზის გაყვანის საქმეში, ახალშენების საქმეთა სტატს-სეკრეტარმა უპასუხა, რომ ამ საქმეში მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება რუსეთთან 1899 წლის ხელშეკრულობას. ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ რუსების მონაწილეობამ რკინის გზის საქმეში არავითარი პროტესტი არ უნდა გამოიწვიოს. საგულისხმოა, რომ ახალი გზები ჩინეთში ჩინეთის მთავრობის კანტროლის ქვეშ იქნება.

**ნეგუს მენელიკი.**

**ადის-აბება.** ნეგუს მენელიკი თავს უკეთ გრძნობს. იმედი აქვთ, რომ სიკვდილს გადარჩება.

**საარჩევნო რეფორმა.**

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ დაასრულა კამათი საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტის შესახებ.

**მდგომარეობა საბერძნეთში.**

**ვენა.** „პოლიტიშე „კორესპ.“ ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთის საქმეთა მცოდნე წრეებში შეუძლებლათ მიაჩნიათ მეფე იძულებული იყოს მიატოვოს საბერძნეთი. ყოველივე ცდა დინასტიურ კითხვის წამოყენების შესახებ ისევე დამარცხდება, როგორც ტიპალდოსის ავანტიურა.

**გაფიცვა მაღაროებში.**

**სიდნეი.** შავი ქვის მაღაროებში გაფიცვა მოხდა. მთელი პოლიცია ფეხზე დგას. რკინის გზის ადმინისტრაციამ არესტი დაადვა ნიუკესტლის საწყობების და გემების შავ-ქვას. შავი ქვის ფასმა ძლიერ იმატა.

**სიდნეი.** ნიუკესტლში ვაჭრობა სრულიად შესწყდა. მაღაროს მუშებმა განსაკუთრებული კომისია აირჩიეს გაფიცვის მიზეზების აღსანუსხავათ. გაფიცვამდე ყოველდღე ასი მატარებელი გადიოდა შავი ქვით დატვირთული. მაღაროს პატრონებს მუშის ქირა 20,000 გირვანქა სტერლინგამდე მართებთ.

**აუდიენცია.**

**ბუდაპეშტი.** დღეს ვეკერლე იყო ფრანც იოსებთან აუდიენციაზე. იმპერატორმა განაცხადა, რომ მიიღებს გადაწყვეტილებას კრიზისის შესახებ ახლო მომავალში, მაგრამ მანამდე უნდა გაიგოს კოშუტის და გრაფ ანდრაშის აზრი. უკანასკნელთ ამ დღეებში მიიღებს იმპერატორი.

### რუსეთი.

**ცეცხლი.**

**ბაქო.** შავ ქალაქში მეორე დღეა იწვის ლეიტისის ნავთის ქარხანა. დაიწვა 300,000 ფუთი ნავთი და მაზუტი. ზარალი 865,000 მანეთამდეა.

**საყოველთაო სწავლა.**

**ჩერდინი.** სოლიკარსკის საერობო კრებამ დაადგინა 15 წლის განმავლობაში შემოიღოს მაზრაში საყოველთაო სწავლა 1910 წლიდან და გახსნან ყოველ წლივ ათი სკოლა.

**ცეცხლი.**

**რიაზანი.** ქ. საპოჟკაში ღამით დაიწვა ორი სახლი. ცეცხლში დაიღუპა 11 კაცი, რომლებიც სტუმრათ იყვნენ ქორწილზე და ერთი მძიმეთ დაშავდა.

**ღელვა ზღვაზე.**

**ასტრახანი.** ზღვაზე დიდი ღელვის გამო დაიღუპა 215,000 ფუთი მაზუთი და 25,000 ფუთი ნავთი.

**სასამართლო.**

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა ვორონეჟის საერობო სამმართველოს ყოფილ თავმჯდომარის კოლიუბაკინის საკასაციო საჩივარი. მას ხარკოვის სამოსამართლო პალატის მიერ ორი თვის ციხე ქონდა გადაწყვეტილი მეორე დუმის არჩევნების წინ შრომის ჯგუფის მოწოდების გავრცელება და შენახვისთვის სენატმა კოლიუბაკინი გაამართლა.

**გროდნო.** სამოსამართლო პალატამ პეტერბურგის ნაფიც ვექილს გილერსონს 129 სტ. ძალით ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა.

**შანტაჟისტი.**

**კიევი.** ვოლჟსკო-კამის ბანკიდან ვიღაც შანტაჟისტმა მოიპარა ფულის გადასაგზავნი ბარათებიანი წიგნი. მან სარატოვში, პერმში და სიმბირსკში 20,000 მანეთამდე მიიღო ამ ბარათებით, რომელზედაც დირექტორის და სხვა მოსამსახურეების მაგიერ თითონ მოაწერა ხელი. მსგავსება ისეთი იყო, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. ელიან ცნობებს სხვა ქალაქებიდან. დაიჭირეს ბანკის გოროდოვოი, რომელსაც ხუთასი მანეთი აღმოაჩნდა.

**სახალხო განათ. მინისტრის წინადადება.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების მინისტრმა წინადადება შეიტანა დუმაში დამატებით გადასდონ შვიდი მილიონი მანეთი პირველდაწყებითი სწავლის დასახმარებლათ.

**დეპ. ბოროდსკი.**

**პეტერბურგი.** დეპუტატთა რწმუნებულების შემმოწმებელმა დუმის მეშვიდე განყოფილებამ დაადგინა მოითხოვოს დეპ. ბოროდსკის არჩევის წარმოების ქაღალდები.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**სიმფეროპოლი.** ერთი კვირის განმავლობაში იალტაში და მის ახლო-მახლო ხოლერით ავათ გახდა 30.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 10, მოკვდა 1, ავათ არის 174.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**საბერძნეთის მდგომარეობა.** „დაილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი ათინიდან შემდეგს იტყობინება: მთავრობის ცდა, რომ ქვეყანა დაამშვიდოს, უნაყოფო იქნება მანამდე, სანამ აფიცერთა ლიგა იარსებებს. სენი, რომლითაც დღეს საბერძნეთია შეპყრობილი—ეს ანარქიაა. ტლანქი ძალაა ყველგან გამეფებული. აფიცერთა ლიგა ხელიდან არ უშვებს იმ ძალას, რომელიც მან მიმდინარე წლის აგვისტოდან მოიხვეჭა. სამხედრო სამინისტროში ორი ლეიტენანტი არის. ყოველ საეჭვო ქაღალდს ისინი აფიცერთა ლიგის საბჭოში აგზავნიან განსახილველათ. ასეთ პირობებში ჯარისკაცთა სამხედრო ტრიბუნალზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**ტიპალდოსი.** ერთ-ხანათ ყველა კიცხავდა ტიპალდოსის მოქმედებას და თითქმის შეშლილათაც კი მოიხსენიეს ზოგიერთებმა. ახლა კი ათინის გაზეთები მას გმირის სახელით ამკობენ. ირწმუნებიან, რომ ტიპალდოსი ამ ჟამათ ათინაშია და ერთ თავის მეგობრისას იმალებაო. ხმები ტიპალდოსის დაჭერის შესახებ ტყუილი გამოდგა. ამბობენ, მთავრობამ კარგათ იცის, სად იმალება ტიპალდოსი, მაგრამ ზომებს ვერ იღებს მის დასაჭერათ, რადგან არეულობის გამოწვევის ეშინიაო.

**მეფე გიორგის განცხადება.** საბერძნეთის მეფეს, გიორგის განუცხადებია: დღევანდელ პირობებში შეუძლებლათ მიმაჩნია ტახტზე დარჩენაო. ზოგიერთ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სცდილობენ მეფეს უარი ათქმევინონ ამ გადაწყვეტილებაზე. მეფე გიორგიმ ჯერ კიდევ აგვისტოში გადასწყვიტა ტახტიდან გადადგომა, მაგრამ მეფე ედუარდის რჩევით თავისი განზრახვა ისევ შესცვალა.

### სპარსეთი.

**შახსევანების მოთხოვნა.** შახსევანები კატეგორიულათ მოითხოვენ რუსეთის საკონსულოში თავ-შეფარებულთა გაცემას. ყოველ წუთში მოელიან საკონსულოზე თავ-დაცემას. საკონსულოს იცავს ასი ყაზახი ორი პულემიოტით. შახსევანების რიცხვი არდებილში 4,000-მდე ადის. რუსეთის მთავრობას აზრათ აქვს შახსევანების წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

**ფერერის სიკვდილით დასჯის გამო.** როგორც „მშაკს“ ატყობინებენ რეშტიდან, ამას წინათ იქაც გაუმართავთ დემონსტრაცია ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. დემონსტრაციის მეთაურები კავკასიელი რევოლიუციონერები ყოფილან. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც. დემონსტრანტები საღამოზე „საბზის“ მოედანზე მისულან, სადაც სამხედრო მუსიკა სამგლოვიარო მარშს უკრავდა. აქაც დიდი მიტინგი გაუმართავთ და ორატორებს სიტყვები წარმოუთქვამთ და დამსწრეთათვის დემონსტრაციის მიზანი დაუხასიათებიათ.

**საელჩოზე თავდასხმა.** „ბაქოს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ შახსევანები რუსეთის საელჩოს არდებილში თავს დაესხნენ. საელჩოდან სროლით გასცეს პასუხი. ორივე მხრით ბევრი მძიმეთ დაჭრილია. საელჩო ქალაქს მოწყვეტილია.

**არდებილის აღების გამო.** როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 18 ოქტომბერს 200 შახსევანი შესულა არდებილში. ისინი ქალის ტანისამოსში ყოფილან გადაცმული და ამ ხერხით მოუტყუებიათ დარაჯები. სათარხანმა თავისი რაზმით თავს უშველა და თავრიზისაკენ გაემართა. შახსევანებმა მთელი ქალაქი ცეცხლს მისცეს. დაზარალდენ რუსეთის ქვეშევრდომნიც განადგურეს პოლიციის სამმართველო, ქალაქის თვითმართველობის შენობა, ენჯუმენის შენობა, სასამართლო და სხვ. მოქალაქები გაცარცვეს. შახსევანებს თავიანთი ბანაკი სოფელ კელცორანში აქვთ გამაგრებული. ეს სოფელი არდებილიდან ხუთი ვერსტის მანძილზე ძევს. ღამ-ღამობით ყაჩაღები არდებილში მხოლოდ 100 დარაჯს სტოვებენ მამედ-კული-ხანის მეთაურობით. ბესტში მჯდომნი დახმარებას თხოულობენ.

ასტარაში კარგათ შეიარაღებული რაზმები იყრიან თავს. ისინი შეერთებული ძალით გაილაშქრებენ შახსევანების წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით თავმოყრილია 850 მეომარი. მოელიან მუსულსულთანეს 800 კაცით. ეფრემი ზენგანის მხრიდან მიდის.

### რუსეთი

**დუმის მუშაობის შესახებ.** ა. ი. გუჩკოვმა კადეტთა ფრაქციას წარუდგინა შემდეგი გეგმა დუმის მუშაობისა: მიწის მოწესრიგების კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ განიხილონ კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოსა და პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ. ოქტომბრისტებს იმედი აქვთ, რომ კადეტებსაც შეითანხმებენ მათ მიერ შემუშავებულ დუმის მუშაობის წესში.

**კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან,

რომ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონს სამინისტრო მორიგ კითხვათა მიუხედავათ განიხილავს ახლო მომავალში. სამინისტროს სურს, რომ ეს კანონი დუმაში 1910 წ. იანვრამდე იქნეს განხილული. ამ კანონს მინისტრთა საბჭოში შეიტანენ დეკემბრის დასაწყისში, მხოლოდ დუმაში მას 20 დეკემბერს გადასცემენ.

**მამის მოკვლა.** ძმათა როსიხინების სამკერვალოში, ვიატკაში, მუშების საუზმობის დროს მოქალაქე ლარკოვი შევიდა თოფით ხელში. მან თოფი დაუმიზნა მას, რომელიც მაგიდას მოჯდომოდა და საუზმობდა. თოფი არ გავარდა. ლარკოვმა ხელმეორეთ ააყენა ჩახმახი. თოფმა იგრიალა და მოხუცებული უსულოთ დაეცა ძირს. მკვლელმა აუღელვებლათ დაუმატა: ესეც შენ. საკუთარ ქალიშვილებს აწი მაინც ვეღარ გააუპატიურებო. ამის შემდეგ მკვლელი პოლიციაში მივიდა და თავისი დანაშაულობა გამოუცხადა ბოქაულს. ლარკოვი დაატუსაღეს.

**დუმის ოპოზიციის შეთანხმება.** დუმის ოპოზიციას დაუდგენია თავმჯდომარის ამხანაგის ადგილზე გაიყვანოს მშვიდობიანი განახლების პარტიის წევრი ეფრემოვი. ამ შეთანხმებაში შედიან: კადეტები, მუსულმანთა ფრაქცია, პროგრესისტები, „ტრუდ ვიკები“, სოციალ-დემოკრატები და პოლონელთა კოლო.

**ფინელი დეპუტატები რუსეთის პარლამენტში.** რუსეთის და ფინლიანდიის საერთო საქმეების განსახილველათ აზრათ აქვთ დუმაში მოიწვიონ ხუთი ფინელი დეპუტატი და სახელმწიფო საბჭოში—ოთხი.

### საზღვარ-გარეთ

**კლერიკალიზმთან ბრძოლა.** ბერლინის გაზეთების სიტყვით, კლერიკალების მიერ გამოწვეული „სასკოლო ბრძოლა“ საფრანგეთში თანდათან უფრო მწვავე ხასიათს იღებს. სამღვდელოების ძალდატანებით ბევრი მშობელი აშორებს სკოლებიდან ბავშვების გაუსახსნას თუ სკოლებში შემოღებული სახელმძღვანელოები შეცვლილი არ იქნა. მთავრობის წრეებში აგიტაციას ეწევიან, რათა ბრიანმა დააჩქაროს პარლამენტში სასკოლო კანონპროექტის შეტანა. ამ პროექტის თანახმათ სასკოლო საქმე მთავრობის მოვლილიათ იქნება გამოცხადებული.

**არეულობა პარიზში.** 20 ოქტომბერს პარიზში რივოლის ქუჩაზე დიდი არეულობა მოხდა. არეულობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ერთი სავაჭრო სახლის გამგეობამ მოისურვა, მუშაობა დაკანონებულ, საღამოს 7 საათის მაგიერ, $7^1/_2$ საათზე შეეწყვიტა. „ინტერნაციონალის“ მღერით დიდძალი ხალხი შეცვივდა მაღაზიაში და მოსამსახურეებს წინადადება მისცეს მუშაობა შეეწყვიტათ. პოლიციამ გაფანტა მანიფესტანტები, რომელთა რიცხვი უცბათ 26,000 კაცამდე ავიდა. ბევრი იქნა დატუსაღებული.

**არეულობა ბუქარესტში.** 20 ოქტომბერს რუმინიის სატახტო ქალაქში სერიოზული არეულობა მოხდა. სოციალდემოკრატებმა ამ დღეს გრანდიოზული მიტინგი გამართეს და სოც.-დემოკრატ რაკოვსკის სამშობლოდან გაძევების გამო მთავრობას სასტიკი პროტესტი გამოუცხადეს. მიტინგის შემდეგ რამოდენიმე ათასი კაცი მეფის სასახლისაკენ გაემართა და იქ დემონსტრაციის გამართვა განიზრახა. დემონსტრატებს გზაზე პოლიციელები გადაეღობნენ. დემონსტრატებმა მათ ქვები დაუშინეს, მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ბევრი სასიკვდილოთ დაიჭრა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ლიკვიდაცია მოახდინოს სოც.-დემოკრატიული პარტიისა. პარტიის ყველა მეთაურები და გაზეთების რედაქტორები დაატუსაღეს. გალაცში, ბრაილოვში, ბოტაშანში და კონსტანცში საერთო გაფიცვა გამოცხადდა. პრახოვში მუშები ჟანდარმებს შეეტაკენ. მღელვარებამ ფართო ხასიათი მიიღო.

## ახალი ამბები

—

**სახალხო ქართულ სცენის მოყვარეთა დასის კრება.** სამშაბათს, 27 ოქტომბერს შესდგა სცენის მოყვარეთა დასის კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია: 1) საქმის კარგათ წასაყვანათ აუცილებლათ საჭირო თუ არა ჩვენ შევდიოდეთ სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციაში? 2) მივემხროთ თუ არა ახლად დაარსებულ „სახ. წარმოდგენების გამმართველ წრეს? ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა: საჭირო დამოუკიდებელი ორგანიზაცია და რადგანაც ასეთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია უკვე დაარსდა—„სახალ. წარმოდგ. გამმართველი წრე“, ჩვენც ამ წრეს ვეღებულობთ იმ პირობით, რომ მომავლისათვის წესდების ანტი-დემოკრატიული მუხლები შეიცვალოს. სანამ კითხვა გადაწყდებოდა, ერთმა სცენის მოყვარემ შემოიტანა წინადადება, რომლითაც მოითხოვდა კითხვა ღიათ დაეტოვებიათ სანამ ახალი წრის ფიზიონომია გამოირკვეოდეს და ის დავა, რომელიც ატეხილია ამ წრის გარშემო ასე თუ ისე გადაწყდებოდესო, მაგრამ სხდომამ უარყო ეს წინადადება და მიიღო ზემოაღნიშნული წინადადება.

✦ **საგუბერნიო თათბირის ბიუროს სხდომა** ამ დღეებში მოხდება, რომელზედაც მოწვეული იქნება, ყოფილ საგუბერნიო საერობო თათბირის რამდენიმე წევრი; სხდომის მიზანია, წესრიგში მოიყვანოს ყოფილ საერობო მოთათბირეთა დადგენილებები და მოხსენება შეადგინოს ნამესტნიკის კანცელარიაში წარსადგენათ.

✦ **იურისტების კრება.** კვირას, 30 ოქტომბერს, თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების სხდომა ე. ი. ანტუშევიჩის მოხსენების მოსასმენათ. ანტუშევიჩის მოხსენებაა—„ქალი იურისტი“.

✦ **საზოგადოებების თხოვნა.** საგარეჯოს და ნინო-წმინდის საზოგადოებების თხოვნის გამო ქალაქის წყლის გამყვან ინჟინერს ხარაჯო-აღრიკხვა შეუდგენია ს. ნინო-წმინდაში წყლის გასაყვანათ ახლობელ წყაროებიდან. ხარჯი 2000 მან. ადის.

✦ **სახელოსნო სასწავლებელში.** თფილისის გუბერნატორმა წინადადებით მიმართა ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს ცნობები შესახებ სახელოსნო სამოქალაქო სასწავლებლისა, სადაც უწესოება ხდება სახალხო სკოლების დირექტორის ცნობით.

✦ **რკინის გზაზე** 26 ოქტომბრიდან ქუთაისის სადგურზე მალი სისწრაფით ჩამოტანილ საქონლის შენახვის ვადათ 24 ს. ინიშნება. ამ ვადის შემდეგ საქონლის შესანახ ფასათ მეპატრონენი სამჯერ მეტს გადაიხდიან.

✦ **ახალი კონდუქტორები.** ვიშნევოლოცკის საკონდუქტორო სასწავლებელში რამდენიმე ახლათ კურს დამთავრებულნი კავკასიაში იგზავნებიან რკინის გზებზე. საპრაქტიკო სამუშაოთ ერთი წლის ვადით.

✦ **ქალაქის გამგეობამ გაარჩია** გუბერნატორის წინადადება გოროდოვოებების შეიარაღების შესახებ და დაადგინა: 1) შეიძინონ გოროდოვოებისათვის ხმლები; 2) ცნობები შეკრიბონ რუსეთის ქალაქების სხვადასხვა პოლიცმეისტრებიდან, თუ რა სისტემის რევოლვერებს ხმარობენ იქ პოლიციელები; 3) უყურადღებოთ დარჩეს პოლიცმეისტერის წინადადება, ქალაქის ხარჯით პოლიციელებისათვის პატრონებისა, ქამრებისა და სხვა ნივთების შეძენის შესახებ.

✦ **შეპყრობა.** 23 ოქტომბერს მაგისტრალის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ოლონეცკი გუბერნიაში გადასახლებული დ. დოლუაშვილი, რომელიც თფილისში თავის ნებით დაბრუნებულა. გარდა ამისა, მას ბრალდება 21 გასულ ენკენისთვეს გორის მაზრის მცხოვრების ს. რამაზაშვილზე თავზე დაცემა გასაძარცვავათ. დოლუაშვილს გორის მაზრის უფროსის განკარგულებაში გაგზავნიან.

✦ **რკინის გზა კახეთში.** თფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი პ. ი. თუმანოვი მომავალ კვირაში პეტერბურგში მიემგზავრება თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთათვის კახეთში გაფართოებულ რკინის გზის ლიანდაგის გასაყვან კონცესიის ნებართვის ასაღებათ.

✦ **ცეცხლი ბაქოში.** 25 ოქტომბერს დილით ცეცხლი მოედო ლეიტესის კერასინ-ზეთის ქარხანას. ცეცხლი, რომელიც ზღვის ნაპირიდან დაიწყო, უფრო და უფრო ვრცელდებოდა. ცეცხლი ჯერ არ ჩაუქვრიათ. ზარალი აუარებელია. ლეიტერის ქარხანა დაზღვეული ყოფილა. („ბაკუ“).

✦ **საინტერესო გამოგონება.** 25 ოქტომბერს ბაქოს სადგურზე გამოსცადეს ახლად გამოგონილი ვაგონების გადამბმელი მანქანა ი. ვ. დობროვოლსკისა. მანქანა მითაა საინტერესო, რომ პაროვიზის სულ ცოტა დაჯახებით 40 და 45 ვაგონი თავისით ფიცხლავ გადაებმებიან ურთი მეორეს და ვაგონების მოხსნა დაცილება შეუძლია სადგურის უფროსსაც ამისთვის არც დრო საჭიროა და ძალა. მანქანა მარტივია და ღირს 30 მ. კომისიამ ეს მანქანა მოიწონა და რკინის გზებზე მისი ხმარება სასურველათ იცნო.

✦ **პოლიცმეისტერის ბრძანება.** პოლიცმეისტერმა ბრძანება დაუგზავნა ყველა ბოქაულებს მიიღონ ფიცხელი ზომები მე 6 უბანში მცხოვრების სოფია ტუტულოვის 13 წლის ქალიშვილის—შუშანიკა ტოტულოვის მოსაძებნათ, რომელიც ბებიის სახლიდან 11 ოქტომბერს ორბელიანის ქუჩაზე გამოვიდა და მას აქეთ სახლში არ დაბრუნებულა.

✦ **სასამართლო.** სამშაბათს, 27 ოქტომბერს გაირჩა საქმე გაზ. «რუსსკი კავკაზა»-ს რედაქტორ-გამომცემლის დ. ფ. პისემსკისა, რომელმაც თავის გაზეთში დასტამბა წერილი: «Странная гимназія». ამ წერილში ავლაბრის პროგიმნაზიის ინსპექტორმა დულაძემ დაინახა რა ცილის წამება, რედაქტორზე საჩივარი აღძრა. საოლქო სასამართლომ პისემსკის ერთი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

✦ **სხვადასხვა ამბები.** გუბერნატორის დადგენილებით დაჯარიმებულია 3 მანეთით თფილისის მცხოვრები ეკატერინე ზურ. ერამოვისა, რომელმაც პოლიციას არ აცნობა მის სახლში მცხოვრების დ. ზაალოვის წასვლა.—27 ოქტომბერს თფილისის მცხოვრებმა ზ. იუდინმა, «ობოროტში» მოსამსახურემ თავის მოსაწამლავათ ნავთი დალია, რომელიც მიხ. საავათმყოფოში წაიყვანეს და ექიმების დახმარებით გადარჩა.—თფილისის გუბერნატორის დადგენილებით დაჯარიმებულია 25 მ. თითო თფილისის მცხოვრებნი: მირზა-ბეგი, ჰუსეინ-ბექოვი და ს. ბრუშკო საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დარღვევისათვის.—27 ოქტომბერს მე-10 საპ. უბანში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 კაცი. მათი ვინაობა ირკვევა.

## ე. ნინოშვილის ფონდი.

—

„მომავალის“ რედაქციამ მიიღო ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ ქრისტეფორე გურგენიძისაგან სად. სუფსაში შეგროვილი 14 მან. 5 კ. შემომწირველთა სია: ბ. კომახიძე, გ. ლეჟავა, პ. ვადაჭკორია, ა. მახარაძე, ლ. მახარაძე ს. გურგენაძე ზ. თავაძე, ძ. დოლიძე, და ი. ხურციძე თითო მანეთი.—ი. ჯაშმა 60 კ.—პლატონ და ისიდორემ, ს. კუპრაძემ, ი. ქარკვაძემ, გ. ქინქლაძემ. ე. გოგუაძემ ნ. ძიძიგურმა ათ-ათი შაური.—ი. აროშიძემ, ი. გოგუამ და ე. მეგრელაძემ: ორ-ორი აბაზი.—ლ. მეჩხიამ, 25 კაპ. სულ შედგა 14 მან. და 5 კ. გამოგზავნის ხარჯი უკისრია მომგროვებელს.

## მენავის სიმღერა.

—

დეე მკლავი მომექანცოს,
დეე ოფლში გავიწუროთ,
მე ეგ ნავი მაინც უნდა
აღთქმულ მხარეს მივაცუროთ.
დეე, ზვირთი ზვირთს გამოჰყვეს,
ტლაშა-ტლუშით იწყოს დენა,
რას დამაკლებს, ვიდრე ჯანით
სავსე არის ეს მარჯვენა!
ტალღას—რისხვით შეზავებულს,—
ზღვით მოვლენილს, მედიდურსა,
ერთის დაკვრით დავსცემ თავზარს
და გავუპობ ნიჩბით გულსა!..
. . . . . . . . . . . . . .
კვლავ დავსერავ ზღვას ბობოქარს,
გადავლახავ, ვიწყებ სრიალს;
წინ რა ზვირთი დაუდგება
თავ-განწირულ ნიჩბის ტრიალს!..
და ამ რიგათ ამ ჩემს ხომალდს
მივაცურებ აღთქმის მხარეს,
იქ ვიხილავ საოცნებოთ
მოკაშკაშე მზეს და მთვარეს.
იქ ვიხილავ ცის მნათობთა
სიბინადროს კარებს ღიას,—
იქვე ვპოვებ ბაღს—სამოთხის—
და შიგ დავკრეფ ვარდს და იას!

**ლ. დარჩია.**

## ფრანჩესკო ფერრერი

—

იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკურ ტყვეთა წამება და სიკვდილით დასჯა ლამის ბუნების ჩვეულებრივ და გარდუვალ მოვლენათ ქცეულა და არც კი იწვევენ ვისიმეს განცვიფრებას, სადაც ჯალათობა და მუხანათური პროვოკაცია ჩინ-ორდენებით და ჯამაგირით დასაჯილდოებელ სახელმწიფო სამსახურად გამხდარან, სადაც ეკლესია და კიდევ უფრო „მაღალი“ ადგილები აშკარა და გამხეცებულ დამნაშავეებით გაჭედილან,—ასეთ ქვეყანაში, ვკითხულობთ ჩვენ, აბა რა მოსატანია, ან კიდევ—რა საინტერესოა ვინმე ერთი პირის—ფრანჩესკო ფერრერის სამხედრო მსაჯულთაგან გასამართლება და შემდეგ დახვრეტა? დიახაც არ იყო მოსატანი და არც საინტერესო ამ მცირე ეპიზოდზე შეჩერება, რომ ის, მეორეს მხრით, არ გვიღვიძებდეს სხვა უფრო საყურადღებო და ჩამაფიქრებელ აზრებს.

ჩვენ ერთხელ უკვე მივაქციეთ მკითხველის ყურადღება ბარცელონის რევოლიუციონურ მოძრაობაზე და მის სასტიკათ დამარცხებაზე. ამას შედეგად მოჰყვა, როგორც ჩვეულებრივ ყველა დღევანდელ „განათლებულ“ სახელმწიფოში, თეთრი ტერრორი, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა უთვალავი პროლეტარნი, თვით ამ მოძრაობის უანგარო და თავგანწირული მებაირაღტრენი. ამ მსხვერპლთ მიემატა სრულიად უდანაშაულო ანარქისტ-სოციალისტი და თავისუფალსაერო სკოლის აღფრთოვანებული მოჭირნახულე ფერრერი. მის პირადობაში შური იძია კათოლიკეთა გაუმაძღარმა და ანტიქრისტიანულმა სასულიერო წოდებამ, რომელიც ესპანიის კეთილდღეობის ნამდვილი დამასამარებელი იყო და არის დღესაც. ფერრერი მოკვდა ვაჟკაცურათ და კიდეც ამიტომ იქცა ის კაცობრიობის თვალში თითით საჩვენებელ გმირათ.

ამგვარათ, ჩვენ ფიქრშიაც არ მოგვდის ფერრერის გმირობის დამცირება, მაგრამ ეს სულაც არ გვიშლის ზედმიწევნით ჩამაფიქრებლათ ჩავთვალოთ ის დიდებული ხალხური დემონსტრაციები, რომელთაც ადგილი ქონდათ ევროპის თითქმის ყველა ცენტრებში. ისიც უნდა ითქვას აქვე, რომ ამ მხრივ პირველობა დაინარჩუნეს საფრანგეთმა, იტალიამ და ბელგიამ, სადაც კლერიკალიზმი ჯერ კიდევ საშიშარ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს და სადაც მის წინააღმდეგ ბრძოლა სადღეისო ლტოლვილებათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს და კიდევ სხვა მიზეზები განა წარხოცენ ქვეყნის პირიდან იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ ის მედგარი და მრგვინავი პროტესტი, რომელიც მოჰყვა მარტო ერთი პირის დახვრეტას, სულაც არ მოყოლია თვით ბარცელონის მოძრაობას ბ პროლეტართა უთვალავ მსხვერპლს? სრულიადაც ვერ წარხოცენ და ეს უფრო იმიტომ, რომ ფერრერის გამო მომხდარ დემონსტრაციებში პროლეტარიატმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. თქმა არ უნდა, ეს მოვლენა თავის თავათ დიდათ სასიხარულოა, რადგან ის მჭევრმეტყველურათ გვიმტკიცებს ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონურ სულისკვეთებას და მის უანგარო გატაცებას მაღალი ჰუმანიური იდეალებით, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგივე პროლეტარიატი ისეთივე დემონსტრაციებით არ ეგებება მთელი მხარის აოხრებას და მის კლასობრივ ამხანაგების ასობით ჟლეტას,—ეს სწორეთ დაუჯერებელია! დაუჯერებელია, ვიმეორებთ, და თანაც სრული ჭეშმარიტება, რომელიც სასიამოვნოს არაფერს შეიცავს, უეჭველია.

ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია შეუძლებლათ ან არაბუნებრივათ, როცა პროლეტარიატი ღელავს და ბობოქრობს თუნდაც ერთი პირის უდანაშაულოთ დასჯაზე. პროლეტარიატიც ჰბადებს ხოლმე გმირებს, რომელთა თავგადასავალი ხშირათ იწვევს მის თავდავიწყებულ გამოსვლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ფერრერი არ იყო პროლეტარიატის გმირი: მან თვითონვე აღიარა მონაწილეობის მიუღებლობა ბარცელონის მოძრაობაში. ხოლო ვინც იყვენ ნამდვილი მისი გმირები, მას შეუმჩნევლათ დაურჩა. ეს გვიმტკიცებს იმ სამწუხარო და სავალალო შეუგნებლობას, რომელშიაც ჯერ კიდევ იმყოფება ევროპის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა. ჩვენ დიახაც უნდა ვაფასებდეთ ევროპის მუშათა პარტიების უებარ ღვაწლს პროლეტარიატის წინაშე, მაგრამ ერთ წუთსაც არ უნდა ვივიწყებდეთ ამ ღვაწლის სიცოტავეს იმ მაღალ მიზნებთან შედარებით, რომელნიც მათ დაუწერიათ თავიანთ დროშაზე.

რაც შეეხება ზოგ ბურჟუაზიულ წრეების ფერრერისადმი თვალსაჩინო გამოქომაგებას ადგილ-ადგილ, იგი არ უნდა იქნეს გადაჭარბებულათ წარმოდგენილი. განსაკუთრებით საფრანგეთზე შეიძლება ითქვას ეს. იქ, როგორც ალბათ მკითხველმაც იცის, გაბატონებულ ბურჟუაზიულ პარტიების გაერთიანებულმა კონგრესმა ერთხმათ დაჰგმო ფერრერის სამხედრო სამსაჯულოს მიერ გასამართლება, მაგრამ მაშინ კიდევ არ იყო სისრულეში მოყვანილი განაჩენი. მაშასადამე, ამ პარტიათ დიახაც შეეძლოთ აეძულებინათ მათგან დაყენებული რესპუბლიკის მთავრობა, რომ უკანასკნელს წინადადებით მიემართნა ესპანიის მთავრობისათვის, რათა მას არ ჩაედინა ეგ სიავაზაკე. ამისათვის არც იყო საჭირო ქადილი, ან ტყვია-წამალი. მაგრამ ეს მათ არ ინებეს და ამიტომ მთელი მათი ლიტანია-ღაღადი განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ, მარტოოდენ ზიზღსა უნდა გვრიდეს ყოველ გულწრფელ ადამიანს. რასაკვირველია, ისინი იმარჯვებენ მზგავს შემთხვევებში საერთაშორისო „შეუხებელ“ პრინციპს: არ გარევას...

ბევრჯერ თქმულა და ახლაც ვიტყვით, რომ დარჩენილა ერთათ ერთი პროლეტარიატი, როგორც კლასი, რომელიც გულწრფელათ და ბოლომდე ემსახურება უმაღლეს ადამიანობას და წინსვლას. მისი გამოსვლები აქამომდე სტიქიური და საერთოთ შეუგნებელი იყვენ, მას ხშირად ავიწყდება ან ვერ ამჩნევს მისთვის განსაკუთრებით საგულისხმო და სავლელათ სავალდებულო გზებს, მაგრამ ერთხელაც არ შეიძლება ითქვას, რომ მას ოდესმე გაელაშქროს ანგარებით ან ფარისევლურათ. ფრანჩესკო ფერრერის ინკვიზიტორულათ დასჯის გამო გამართული ვეება პროლეტარული დემონსტრაციებიც ამას გვიდასტურებენ, სხვას არაფერს.

**ერთი ვინმე.**

## წერილები სპარსეთიდან

7

**საერთო მდგომარეობა.**

პარტიის ტაქტიკა, მისი თეორიული სიმართლე პრინციპიალური მეცნიერული დასაბუთება ყოველთვის იქ გამოჩნდება, როდესაც თეორიამ ცხოვრებაში პრაქტიკული ნაყოფი უნდა გამოიღოს, სწორეთ ამას ვერ უწევენ დღეს ანგარიშს, და ამიტომ იყო, რომ ეფრემი დ—ცი პოლიციის როლში გამოვიდა და სახრჩობელა აღმართა თეირანში; ყველა რევოლიუციონერებმა, რომელნიც მათთან ერთათ სისხლს ღვრიდენ, საუკეთესო ამხანაგებს ბორკილებში ასაფლავებდენ ზურგი შეაქციეს და პროტესტი გამოუცხადეს მას.—ეს იყო პოლიტიკური სიბეცე დროშაკისტების პარტიის, რადგან დაინტერესებული პირები აქ სხვა ნიადაგს ამზადებენ, რომელიც საშიში იქნება არამც თუ სომხებისათვის, მთელი განათლებული კაცობრიობისთვის. და ამას ვერ უწევდენ ანგარიშს. აქ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი პროლეტარიატის ფილოსოფიის სინამდვილეში, მარა აქ ამის ადგილი არ არის, ჩვენ აქ ამაზე წერას ვერ გავაგრძელებთ.

არდებილში რაზმი იყო გაგზავნილი ხალხის დასამშვიდებლათ და წესიერების აღსადგენათ. გუშინდელმა, შეუგნებელ მონობაში აღზრდილმა ხანებმა და ზოგიერთ სახელმწიფოს მიერ პოლიტიკით გატაცებულმა პირებმა კავკასიელი ყაჩაღი თათრები ჩამოიყვანეს და იწყეს წყლის ამღვრევა. ძარცვა-გლეჯა, ქალების გაუპატიურება და ათასი სისაძაგლე. ხალხი ღელავდა. ისევ რეაქციონერების ხელში ყოფნა გვირჩევნიანო—ამბობდენ ისინი, ამას ხედ დაერთო რეაქციონერების მიერ გავრცელებული ხმები: სომხებმა თავრიზიდან სამხედრო შტაბის საკუთრება—ბომბები გაიტაცეს, ჩვენი ამოხოცვა უნდათ—ჰკათ სომხებსო!.. წარმოიდგინე მკითხველო, რა ფრთხილი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოს აქაური პოლიტიკური მოღვაწე და განსაკუთრებით მომქმედი რომელიმე პარტია, ან პირი.

მარა არის სპარსეთში ერთი პირი, რომელსაც ესმის ეს სირთულე და [illegible]ი რომ მხოლოდ ერთია, ან რომელსაც ესმის ბევრია, მარა საჭირო ზომას რომ ღებულობს ისეთი კი ცოტაა.

არდებილში ხმა გავრცელდა თავრიზის გმირი სათარხანი მოდისო! ხალხი მოუთმენლათ მოელოდა ამ მართლა საყვარელ კაცის მოსვლას და არც მან დააგვიანა. გაჩნდა მახარობელი რაზმი სათარხანი მოდისო! ქალაქი დაცარიელდა: ქალი, კაცი გაემგზავრა ქალაქ გარეთ. ცხენოსანი რაზმი წინ წავიდა, მუსიკა უკან გაყვა. გამოჩნდა ცხენოსანთა დიდი გუნდი, შუაზე თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი სათარხანი იყო. ხალხში სიხარულის ყიჟინა გაისმა, ტი-

რილი და სიამოვნება ერთმანეთში აირია. ბნელ ძალებს კი მიწა უსკდებოდათ. გაზეთებში განგებ შეთხზილი ხმა გაავრცელეს სათარ ხანი კავკასიელ თათარ ფიდაებს იჭერს, სეპეხდარის წინააღმდეგ ფურცლებს სცემსო. ჩვენ ეხლავე ვნახავთ თუ ვის იჭერს სათარხანი.

საყვარელმა გმირმა მეორე დღეს განკარგულება გამოსცა ვინც მოპარულ, გატაცებულ ხალხის, ან კერძო მდიდრის ქონებას არ მოიტანს და არ დააწყობს დანიშნულ ალაგს, სიკვდილით დაისჯება, მე ყველა ვიცი ვინც რა ჩაიდინაო! და მართლაც, ერთი კვირის განმავლობაში სასახლეს ეზო აივსო: ხალიჩებით, ძვირფასი სამკაულებით, ცხენ-უნაგირით, ცხვარ-ძროხებით და ვინ მოსთვლის რით — წაეღოთ ყველაფერი რის წაღებაც კი შეეძლოთ.

შემდეგ სათარხანმა დაატყვევა ყველა ამისი ჩამდენნი და განსაკუთრებით ის „ფიდაები“, რომლებიც ნამუს ხდიდენ ქალ-ვაჟთ... ყველა ესენი ჯაჭვებზე გადაბმული გაგზავნა სათარხანმა თავის ბანაკში.

ხანები, რომლებიც ძარცვა-გლეჯის შიშისაგან, რეაქციის მხარეზე გადასვლას აპირებდენ, კმაყოფილი დარჩენ და ამბობდენ: ასეთი წესი თუ იქნება, ჩვენც რევოლიუციის მომხრე ვართო. აღვავებული ხალხი ლოცავდა სამართლიან გმირს და ამბობდა: სათარხანი სადაც გაგვიძღვება გავყვებით, ეს „ღვთიური“ „მადლიანი“ კაცი ყოფილაო!..

ასეა ყოველგან უმსგავსო „მეთაურები“ და ვითომდა რევოლიუციონერები ხალხს შეაძულებენ წმინდა, დიად მზესავით მანათობელ მოძრაობას — რევოლიუციას და სიფრთხილეც აქ არის საჭირო.

ეხლა მივაქციოთ ყურადღება გლეხთა მოძრაობას. ის, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, კი არ მოძრაობს, დიდი უმრავლესობა ეხლა გრძნობს, რაღაც მოხდა მის გარშემო. ხან-მემამულებს ღალას აღარ აძლევს, გადასახადს აღარ იხდის — „მაშუთააო“ ამბობს. სხვა პარობებში შესაძლებელია გლეხთა მოძრაობა, მარა აქაური ხალხი ბუნებით სუსტია და საკმარისია რამდენიმე შეიარაღებული პირი მათ დასამორჩილებლათ. ზოგი მოლები გაზეთს სცემენ და ქადაგებენ სომხების ამოჟლეტას, შახის დაბრუნებას, მარა მათ გავლენა ეკარგებათ და თუ მოძრაობენ იმიტომ, რომ სახელმწიფოს გადაბრუნება მძიმე ტკივილებს იწვევს და უცებ ვერ დაშოშმინდება. ამას მოწმობს რამდენიმე გავლენიანი სამღვდელოების ჩამოხრჩობა თეირანში ქალაქის აღების შემდეგ — „ხალხი“ თუმცა ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ღვთისაგან მოვლინებულ მოლებს ახრჩობენ, მარა მაინც გულ-გრილათ შეხვდა.

ქ. ხოიში, შიგ ენჯუმენში კრების დროს, ცხადათ, ხალხის წინ მოკლეს ორი ხოის ენჯუმენის წევრი ხალხის არჩეული. ორივე რეაქციონერები აღმოჩნდენ და ღალატი დაუმტკიცეს. გუშინ თავრიზელ დეპუტატებთან მუსაიფი გვქონდა ამის შესახებ და რამდენიმე დეპუტატმა, რომლებიც ბარიკადში იბრძოდენ მითხრა: ჩვენ მეჯლისშიც (პარლამენტში) დაგვჭირდება რამდენიმე რეაქციონერ დეპუტატების თავიდან მოშორებაო (ე. ი. მოკვლა) მხოლოდ ეს მეჯლისში კი არა, სხვაგანო. ასე რომ, ნამდვილი ხალხის მოძრაობა და ძალაუფლებებისთვის ბრძოლა წინ დგას თავის სიძნელე—სირთულით; რადგან დემოკრატიას ძალები არ ყავს—ეს აქაურ პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეში ბადებს უიმედობას და სისუსტეს.

ჩვენი აზრით უმთავრესი გაკეთდა: ბავში უკვე დაიბადა, მხოლოდ დედა ძლიერ ტკივილებს გრძნობს და საჭიროა ხანგრძლივი გამოცდილი მოვლა-პატრონობა. რევოლიუციამ ყველა კუნჭულები გაანათა: ზნე, ჩვეულება, წესები და სხვა გადაამსხვრია, გადაამტვრია. მოძრაობამ თითქმის დაათავა მნგრეველი როლი. ახლა მისი წმინდა ვალია—შენება. აქეთკენ უნდა მიიმართოს უმთავრესი ყურადღება. როგორ წავა ამ მხრივ საქმე ამას ახლა მომავალი გვეტყვის.

**გლახა მგელაძე.**

# პროვინცია

**ჭიათურა** (იმერეთი). როგორც იქნა ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა შეუდგა მუშაობას. 18 ოქტომბერს სახალხო თეატრში ბ. კიტა აბაშიძემ წაიკითხა ლექცია დავით კლდიაშვილზე. ლექციას საზოგადოთ არა უშავდა. ლექტორმა მოკლეთ და შინაარსიანათ გააცნო მსმენელ საზოგადოებას დავით კლდიაშვილის მოთხრობების შინაარსი და უმთავრესი მისი გმირები. ის შეადარა ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს, განმარტა თუ რა განსხვავებაა ამ ორ ქართველ მწერალ შორის და რომელი რა ეპოქის მწერალია. ლექციას საზოგადოება საკმაოთ დაესწრო. მუშები ნაკლებათ დაესწრო. უმეტესობა, ასე თუ ისე ჭიათურის მაღალი საზოგადოება იყო. როგორც სჩანს, ჭიათურის ახალი სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ბეჯითათ შეუდგა საქმეს. უკვე გადასწყვიტეს და კიდევაც გამოაკრეს აფიშები სისტემატიური მეცადინეობისა: გამართავენ სადამოს სკოლას ბაზრელთათვის. მსურველები უკვე ეწერებიან. კარგი იქნება, რომ ყოველ კვირაობით გაიმართებოდეს ლექციები და ჭიათურის, აუარებელ შეუგნებელ მუშებს ცოტა რამეს შეაგნებინებდენ.

ამ დღეებში აქ უეცრივ დააპატიმრეს მასწავლებელი გიორგი ჭუმბურიძე და ისიდორე ვარაზაშვილი. მიზეზი დაპატიმრებისა არავინ იცის. დაპატიმრებულნი იმავე დღესვე უგარილის სატუსაღოში გაგზავნეს. ილიკო ბახტაძის მოკვლის გამო დაპატიმრებულნი უკვე გაანთავისუფლეს და ჭიათურაში ცხოვრების ნებაც მისცეს.

12 ოქტომბერს დანიშნული იყო წვრილ მრეწველთა ასოციაციის კრება, მაგრამ წევრების დაუსწრებლობის გამო არ შედგა და გადაიდო. სხვა კითხვებთა შორის კრებას განსახილველი აქვს ასოციაციის არსებობა თუ მისი ლიკვიდაცია მომავალში. საინტერესოა ეს კითხვა მრეწველებისთვის და ვნახოთ როგორ გადასწყვეტენ მას. **გიზო.**

—

**ს. სვირი** (იმერეთი). საზოგადოთ სვირელებს წრეულს ღვინის მოსავალმა უღალატა. წარსულ წელთან შედარებით ღვინო მესამედიც კი არ მოსულა. სიმინდიც ნახევარი წლის სარჩო არ იქნება. ლობიო სულ მოსპო ნამეტანმა სიცხეებმა. ასე რომ, წრეულს ხალხი უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, შიმშილის აჩრდილი უკვე თვალწინ უდგიათ.

მიუხედავათ ასეთი მოუსავლობისა, წელს სახელმწიფო გადასახადი ერთი-ორათ გაადიდეს. თითო კომლს 20—30 მან. შეხვდა.

— უწვიმრობის გამო წყლები მთლათ დაშრა. წისქვილები აღარ მუშაობს. დაფქვა ძნელი შეიქნა.

— აქ მძვინვარებს საშინელი სენი: სახადი მუცლის, დიფტერიტი და სხვა. აფთიაქი და ექიმ-ფერშალი სვირელებისთვის უცხო ხილია. დაბა ყვირილაში სადაც ექიმი და ფერშალი ცხოვრობს, რვა-ცხრა ვერსტზე დაშორებულია. სად. სვირში აფთიაქი აქვს დ. ჯ—ს, მაგრამ ეს უკანასკნელიც სოფელზე 6—7 ვერსტზეა დაშორებული.

ბ. დ. ჯ—ი დიდ დახმარებას უწევს ხალხს. ის მუდამ მზათ არის დასახმარებლათ. მასთან საექიმოსაც რასაც მისცემენ იმას ჯერდება. მე ჩემი თვალით ვნახე როგორ იხსნა სიკვდილისაგან სამი სახადით ავათმყოფი.

—

**ს. ღვანკითი** (შორაპ. მაზრა). მოსავალი წელს აქეთაც ცუდი იყო. 14 ენკენ. აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ქმრის არ ყოფნის დროს, დაკეტილ სახლში, არქიფო კუპატაძის ცოლმა — მატამ თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი შემდეგი აღმოჩნდა: ხსენებული გლეხი არ. კუპატაძე, კნეინა ნიკიტა ბაგრატიონს გაუნთავისუფლებია... მაგრამ საბრალო გლეხის ბარაზე აღარაფელი დაუტოვებია ბაგრატიონის მოურავს თავ. ედ. ხირდიბეგიშვილს, აღარც მიწა, აღარც ოჯახის ავეჯეულობა და არაფერი. მუდამ ცხოვრებისაგან დატანჯულმა ქალმა ვეღარ აიტანა ამდენი ტანჯვა-ვაება და საბრალომ საუკუნოთ გაინთავისუფლა თავი.

მუშა **სა—რო ელი—შვილი.**

—

**სამტრედიის რაიონი.** წელს ყველასაგან დაბეჩავებულ გლეხკაცობას ბუნებამაც უმუხთლა და საშინელი გვალვების გამო ღვინო-სიმინდი ნაკლებათ მოვიდა. ჩვენსკენ ხუთი-ექვსი თვის სარჩო სიმინდი რომ მოსვლოდეს, ისეთი გლეხი სანთლით საძებარია. შიმშილობა აუცილებელია. ამას გლეხიც ძლიერ კარგათ გრძნობს. ის ეძებს საშუალებას, რომ თავი დააღწიოს შიმშილს და თითქო მიუგნია ასეთი საშუალებისათვის. დღეს რომ მინდვრებს გადახედოთ გაზაფხული გეგონებათ. ჭიანჭველებივით მოდებია მას გლეხკაცობა და პურს თესავს, რაც ჩვენში იშვიათი მოვლენაა. აი ამ გზით ცდილობს ის აიცილოს თავიდან სიმშილით სიკვდილი. მაგრამ ეს საშუალება დასდებს მალამოს მის წყლულს? ძლიერ ვეჭვობ! ამავე დროს მას სხვადასხვა გადასახადები არამც თუ უმცირდება, კიდევაც ემატება. ეხლა ჩვენში გლეხებს ახლევინებენ ხუთი წლის აუკრებელ ეგრეთ წოდებულ სასურსათო კაპიტალის გადასახადს თორ-თორ მანეთს. ამას მიუმატეთ მასწავლებლების, საერობო დარაჯების, მწერალ-იასაულების, მღვდლის შესანახი ხარჯები და თქვენ თვალწინ გადაიშლება სურათი, რომელიც ნათელ ყოფს სოფლის უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ გლეხკაცობა სულით მაინც არ ეცემა და მიუხედავათ უკიდურეს გაჭირვებისა, ის ცდილობს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების გამრავლებას, რაც მოასწავებს იმის შეგნებას, რომ მისი ხსნა თავის მდგომარეობის შეგნებაში და სწავლა-განათლებაშია. აი მაგალითებიც: ს. გულაშაში ითხოვა სამოქალაქო სასწავლებლის გახსნა, რის ნებართვა კიდევაც მიიღო და ამ დღეებში სასწავლებელი მოქმედებასაც დაიწყებს. ს. დიდი-ჯიხაიშმა ენკენისთვეში გახსნა ორი ახალი სკოლა. ითხოვა სამოქალაქო სასწავლებელი, რასაც ერთდროულათ ათი ათასი მანეთის დახმარება აღუთქვა. იმედია, აქაც მალე მიიღებენ ნებართვას. აგრეთვე ითხოვა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნა და ამ საქმისთვის 1500 მ. გადახდა იკისრა. აღუთქვა სამკითხველოს ყოველ-წლიური დახმარება შვიდი თუმანია.

— დღეს მთელ რაიონში საზოგადოებებს დავალებული აქვთ მისცენ პოლიციას ქურდ-ბაცაცები. ამ საქმეზე არჩეული კომისიები კარგა ხანია მოქმედებენ.

— ამას წინათ ს. იანეთში ოთხი შვილის დედამ მდინარეში თავი დაიხრჩო. მიზეზი უკიდურესი გაჭირვებაა.

**„უგინჩილაძე“.**

## ევროპიელთა ცნობა საქართველოზე.

არა ერთხელ აღუნიშნავთ ქართულს ჟურნალ-გაზეთებში, რომ ევროპაში ჩვენს მხარეს ნაკლებად იცნობენ და ხშირად დამახინჯებულს ცნობებს ავრცელებენ საზღვარ-გარეთ მკითხველ საზოგადოებაში. მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინად მე თითონ შევესწარი. ჟენევაში, ადგილობრივ მუზეუმის ერთს ოთახში გამოფენილი იყო სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი საღვთო წერილის ნიმუშები. სხვათა შორის საიდღანაც ეშოვათ ქართულს ენაზე „დავითნი“, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ხუცურად დაბეჭდილს ჩვენს „დავითნს“ მუზეუმის გამგეობის მხრივ მიწერილი ჰქონდა, გაუგებრობით შექმნილი შენიშვნა: Le Jeorqie en Amerique, ესე იგი ჩვენი საქართველო გადაიტანეს ამერიკაში და ხუცურად დაბეჭდილი ჩვენი „დავითნი“ მიაწერეს „გეორგიას“, ამერიკის პროვინციას მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოსაც ფრანგულად იმავე ფესვის სახელწოდება აქვს.

ეს შემთხვევა მომაგონდა დღეს იმიტომ, რომ არეული წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზე აქამდის მეფობს ევროპის მწერლობაში. ამ დღეებში მივიღე ახალი კატალოგი გამბერის წიგნის მაღაზიისა პარიზში. კატალოგში განყოფილებანი დანაწილებულნი არიან ტომების და გეოგრაფიული სახელწოდების მიხედვით. აქ ნახავთ არაბეთს, პალესტინას, მცირე აზიას, ოსმალეთს, ბოლგარიას, სომხეთს, მაკედონიას, ბოსნიას, კროატიას, ფინლიანდიას, ციმბირს, თურქესტანს, სპარსეთს, ეგვიპტეს და სხვ.; არ არის გამოფენილი მხოლოდ კავკასია და საქართველო.

ეს კიდევ არაფერი. საოცარი ის არის, რომ საქართველო არც იმ განყოფილებაშია, სადაც აღნიშნულნი არიან სხვადასხვა ტომნი, რუსეთში მოსახლენი. იმის მაგივრად, რომ qeorqie — საქართველო რუსეთის სამზღვრებში მოექციათ, კატალოგის შემდგენელს იმდენად ბუნდი წარმოდგენა აქვს ჩვენს სამშობლოზე, რომ იგი გადუტანია... სპარსეთში! სპარსულს წიგნთა განყოფილებაში მოხსენებულნი აკადემიკოსი ბროსსეს ნაწერები ქართული ლიტერატურის შესახებ. 1) „ესკიზი ტარიელზე ქართულათ და ფრანგულად“ (Esquisse du Tariel en peo. qrien et en francais), 2) «ქართულ პოეზიაზე“ (De la poesie peorqienne). ამავე სპარსულ განყოფილებაში მოქცეული ჩემი წიგნიც ფრანგულს ენაზე „მოკლე გეოგრაფია, ისტორია და ლიტერატურა საქართველოსი“ Ofersu Jeoqraphiqne et abrèqè de ehistoire e: de la literature qeorqiennes). საკვირველი ის არის, რომ საქართველო სპარსეთის სამზღვრებში მოაქციეს და ამავე დროს კავკასიის მთიელნი კი რუსეთის ტერიტორიას არ მოაშორეს. ამ გვარად რუსეთის განყოფილებაში აღნიშნულია, მაგალითად, დებაის აფხაზეთში მოგზაურობა, ბელის ჩერქეზებში წარმოებული დღიური, ლაპანსკის მთიელების აღწერა (Die Berqvölker des Kakasus und ihr tzeihets kampf qeqen die Russeu 863) რა ცოდნით არის შედგენილი კატალოგი მოწმობს ერთი სასაცილო ფაქტი: „ქურდები“ რუსეთის განყოფილებაშია და თფილისის აღწერა, სპარსეთის შესახებ აღნუსხულ წიგნთა სიაში.

**ა. ხახანაშვილი**

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი.

27 ოქტომბერს ქართულ თეატრში წერა-კითხვის საზოგადოების თაოსნობით გაიმართა ი. ჭავჭავაძის საღამო. საღამომ, სამწუხაროთ, სუსტათ ჩაიარა. რობაქიძის ლექცია ძალიან უფერული იყო შინაარსის მხრივ. ბ. რობაქიძე მთელ ყურადღებას აქცევს ცნებების მხატვრული სიტყვებით გამოთქმას და ამ მხრივ ისე შორს მიდის, რომ თვით მარტივ ცნებებსაც გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის. მხატვრული ენის ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი აზრი და ცნება უფრო მარტივი, ადვილად გასაგები და თვალსაჩინო გახდეს.

საკონცერტო განყოფილებაში ბ-ნმა გ. სარაჯიშვილმა საუცხოვოთ შეასრულა რამდენიმე სიმღერა, თუმცა ზოგიერთი პირობები ხელს უშლიდა (აკომპანიმენტი სუსტი იყო). სარაჯიშვილი საზოგადოებამ დაუსრულებელი ტაშის ცემით დააჯილდოვა. მოხდენილათ იმღერა ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ ილიას „გაზაფხული“, მერცხლის „ჭყავილი“ კი ჭყივილის მაგიერათ) ძალიან ეჩოთირა საზოგადოებას.

ცოცხალი სურათებიდან კარგი იყო დედა და შვილი, კაკო, აჩრდილი და სხვ.

ილიას საღამოზედაც ისე, როგორც ბარათაშვილის ლექციაზე, ლექსების კითხვამ ცუდათ ჩაიარა. ამა თუ იმ ცოცხალი სურათის სცენაზე გამოჩენის დროს, უცნობი პირი კულისებში შესაფერ ლექსს კითხულობდა ილიას თხზულებიდან, მაგრამ ისე ჩიქორთულათ, რომ გეგონებოდათ ჩხირი უჭირავს ხელში და ისე კითხულობსო. რამდენიმე შეცდომით გამოთქმული ადგილი ჩემს უკან მჯდომმა „პაგონებიანმა“ წინა რიგში მჯდომთა გასაგონათ გაუსწორა. გამოთქმის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მერე, განა ასე ძნელია ორიოდ ქართული ლექსის რიგიანათ დასწავლა, დამაზათ და მოხდენილათ წაკითხვა? ლექსის ცუდათ წაკითხვას, სულ რომ არ წაიკითხო ის ბევრათ სჯობია.

სახელდოვანი მგოსნის საღამოს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ბილეთები აღარ გაწვდათ და ბევრი გულდაწყვეტილი დაბრუნდა უკან. საჭიროა საღამოს გამმართველებმა უფრო მეტი ცდა და უნარი გამოიჩინონ ასეთ საქმის მოწყობაში.

# უცხოეთი

## სამღვდელოება და საერო სკოლები საფრანგეთში.

საერო სკოლების წინააღმდეგ საფრანგეთის სამღვდელოება მეტათ სასტიკ ბრძოლას ეწევა. ბოლო ხანებში ამ მოვლენამ მთავრობის ყურადღებაც მიიქცია. ამას წინათ ერთ-ერთ ბანკეტზე პრემიერ მინისტრმა ბრიანმა სიტყვა წარმოსთქვა. მან სთქვა: საერო სკოლა დიდი ყურადღების ღირსია, ვინაიდან ის რესპუბლიკის საფუძველს შეადგენს. მის წინააღმდეგ აგიტაცია მესმის რითაც არის გამოწვეული საერო სკოლის შესუსტებით ისინი ფიქრობენ იმ მოქალაქეების სულ სხვა გეზზე აღზრდას, რომელთაც ეს სკოლები იძლევიან და ამით, რასაკვირველია, რესპუბლიკის ძირის გამოთხრას, მარა თავის მიზანს სამღვდელოება ვერ მიაღწევს, ვინაიდან მათ აგიტაციის ხალხში გასავალი აღარ აქვს. ყოველ შემთხვევაში, მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს საერო სკოლების დასაცავათ.

## არჩევნები ინგლისში.

ამ ახლო ხანში ბერმონდსის ოლქის არჩევნებზე აირჩიეს კონსერვატორი.

არჩევნებში კონსერვატორები პროტექციონიზმის*) დროშით გამოვიდნენ.

ამ 8 წლის წინათ კონსერვატორები მუშებში ვერ ამხელდნენ, რომ ისინი „სტარიით რეფორმებს“ ემხრობდნენ, ეხლა კი, მათმა კანდიდატმა პირდაპირ აღიარა, რომ ის პროტექციონიზმის მომხრეა. ეხლა ისინი „არწმუნებენ“ მუშებს თითქოს პროტექციონიზმის შემოღებას შეეძლოს ყველასათვის სამუშაოს მიცემა. ამ შემოდგომაზე ხსენებულ ოლქში ბევრი უმუშევარია, რომლებიც სამრეწველო კრიზისის მსხვერპლი ხდებიან. ამ ხალხთან მიდიან კონსერვატორები და ეუბნებიან: „თქვენ იმიტომ არ გაქვთ სამუშაო, იმიტომ იხურება ქარხნები, რომ უცხოელები, სარგებლობენ რა ვაჭრობის თავისუფლებით, შემოაქვთ თავიანთი საქონელი, რასაც აქ იაფათ ყიდიან და ამით თქვენ სამუშაოს გისპობენო. საჭიროა „სტარიით რეფორმის“ შემოღება და ყველას სამუშაო გაუჩნდებაო“. არჩევნების დროს კონსერვატორების კანდიდატს ამრჩევლები ხშირათ მოაგონებდენ, რომ ის ცდილობს დიდი ბაჟები დაეწესებია უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე. ამავე დროს კონსერვატორთა ეკონომისტები ხალხს არწმუნებდენ, რომ სახელმწიფოს ხარჯების მეტ წილს უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის დაბაჟვიდან შემოსული გადასახადი დაფარავსო. ამას გარდა, კონსერვატორების პროგრამაში შეხვდებით ისეთ მუხლებს—როგორიცაა უმუშევრობის და მოხუცებულობის დროს მუშების დაზღვევა, სკოლაში მოსიარულე ბავშთათვის უფასო საუზმის მიცემა და სხ...

საჭიროა გავითვალისწინოთ თუ რის გაკეთებას შესძლებენ კონსერვატორები, რომ მართვა-გამგეობა მათ ჩაუვარდეს ხელში. ამისთვის საჭიროა რამდენიმე მაგალითის მოყვანა. თუ მათ ხელში დარჩა მართვა-გამგეობა—სპირტზე და მიწაზე ბაჟი აღარ იქნება, მთელი შემოსავალი დამოკიდებული იქნება უცხოელი მექარხნეების „დაბაჟვაზე“. ამ სახით წლიური შემოსავალი იქნება 5 ნახ. მილიონი გირვანქა სტერლინგი *). მოხუცებულობის დროს პენსიის განხორციელებას 9 მილიონი გირვანქა სტერლინგა მოუნდება. ასე რომ, მარტო ამ ერთ რეფორმის განხორციელებას 3 მილ. ნახევარი გირვანქა სტერლინგი დააკლდება და მარტო ეს რეფორმა ხომ არ იკმარებს... საერთოთ, ყოველწლიური დეფიციტი გაზეთების ანგარიშით დაახლოვებით 16—17 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება; ასე რომ, პროტექციონიზმის მომხრეები უსათუოდ შეეცდებიან პურზე ბაჟის აწევას, რაც, ეჭვი არაა, მღელვარებას გამოიწვევს. მღელვარებას აგრეთვე ხელს შეუწყობს ის, რომ პროტექციონიზმი უმუშევრობას ვერ მოსპობს. პროტექციონიზმი, რომ უმუშევრობას ვერ მოსპობს, ამის თვალ-საჩინო მაგალითს გვაძლევს ერთი მხრით მთელ დედამიწაზე უმდიდრესი ქვეყანა—ამერიკის შეერთებული შტატები და მეორე მხრით—ყველაზე უღარიბესი—რუსეთი.

*) პროტექციონიზმი ნიშნავს ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობითი სისტემას. პროტექციონიზმის მომხრე სახელმწიფო დიდ ბაჟებს ადებს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელს, რომ მან მეტოქეობა არ გაუწიოს შინ დამზადებულ საქონელს. აგრეთვე, დიდ ბაჟს ადებენ ადგილობრივ ფაბრიკა-ზავოდების დასამუშავებელ ნედლ მასალას, რომ ის საზღვარ-გარეთ არ გაიტანონ და სხ...

*) ერთი გირვანქა ინგლისური სტერლინგი უდრის ჩვენებურ 9 მან. 26 კაპეიკს.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

ექიმი
## პ. არღაზიანი
ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.
კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.
Уголъ Меликовской и Александровской ул.
(0—15)

კანტორა და სკლადი
## ი. ახოზაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სანთელი 40 კ.
„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდის სუსუნტოსა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პ რ ი მ ა“ სპობს თმის ქერწლს და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—9